



ჩოხატაურში გურული ღვინის ფესტივალი გაიმართა



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ხიდისთავში გურული ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუმაძე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უკვე მეორედ ტარდება გურული ღვინის ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავს გურული ენდემური ვიშის ყურძნისგან წარმოებული ღვინის პოპულარიზაციას და ასევე, რეგიონში მევენახეობის განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალში მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილია და იმედი მაქვს რომ ეს ტრადიციულ ქვეყნულ ფესტივალს მომდევნო წლებში უფრო მეტ მასშტაბებს შეიძენს“, – აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუმაძემ.



ა ლ ი ო ნ ი

გურია
უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოცემა. № 15 (10451) 27 0360სი, 2023 წ. შახი 80 თმთრი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სუფსა-წყალწმინდის დამაკავშირებელი გზის 5,5 კილომეტრიანი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სუფსა-წყალწმინდის დამაკავშირებელი გზის 5,5 კილომეტრიანი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი ურუმაძემ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პაპუნა გამყრელიძემ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა დაათვალიერეს.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სუფსა-წყალწმინდის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები. პროექტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხარდაჭერით ხორციელდება და დღეის მდგომარეობით მოწყობილია 3 კილომეტრამდე ასფალტის საფარი. სამუშაოები კლიმატური პირობების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში დასრულდება,“ – აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

„არ ბიხარიათ, ქვეყანა რომ ვითარდება, თქვენ ქვეყანა არ ბიყვართ“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დაპირისპირება ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს შორის ტრადიციულ იქცა. თუკი მანამდე დაპირისპირება ძირითადად სხდომის დასაწყისში ხდებოდა, ახლა იგი საკრებულოს სხდომის დასრულებამდე გაგრძელდა. ამ დაპირისპირების გამო სხდომის დაწყება ნახევარი საათითაც კი გადაიდო.

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე (დავით დარჩა სხდომის გახსნას აპირებდა) დარბაზში საკრებულოს დეპუტატი **ქეთევან ზომერიკი** შეპოვიდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატს **თათია ნიკოლაშვილს** სიცრუის ტრიაფირებში დასდო ბრალი. საქმე წინა დღით თათია ნიკოლაშვილის მიერ გავრცელებულ ვიდეო სურათებს ეხებოდა, სადაც იგი ოზურგეთის მერს სოფელ მაკანეთში, გზის მშენებლობაზე მილიონანი ტენდერის პირობების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდა. „როცა ხალხის ფულს სად დასარჯავენ, ხალხს არ კეთხებთან - თანხები მდის იქ, სადაც მეტის „მოტეხვა“ შეუძლიათ მაღალჩინოსნებს“ – წერდა ნიკოლაშვილი.

– შენ თანაგუნდელებს არცხვენ, შენ ხარ თავხედი და პოლიტიკურად ბეცი ადამიანი არ ვიხარიათ, ქვეყანა რომ ვითარდება, თქვენი ქალაქი რომ ვითარდება, თქვენ ქვეყანა არ ვიფიქროთ – მიმართა ქეთევან ზომერიკი ნიკოლაშვილს.

არც თათია ნიკოლაშვილი დარჩა ვალში.

– თქვენი მერი ფულს აბარ-



ავს, ხალხს გზას არ უკებს და პასუხს ჩვენ ვეთხოვით?

– ქართულ-ავსტრული პონტში გასცემთ ტენდერებს. საქართველოს მთავრობამ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 5 070 000 ლარი გამოუყო, თქვენ კი ემთხვევითად დაბრუნებულ დარეჯან კეკელიძეს, რომელსაც სახლი დაეწერა, არ გადაუხურეთ. ადამიანებს ტყველით იძებნენ ამ ყოველს. სოციალური პროექტებით თქვენს კოორდინატორებს აფინანსებთ – მიმართა მერის პირველ მოადგილეს გიორგი ლურჯაუშვილს დეპუტატმა **ბესი ქათამაძე**.

– აღიარებთ თუ არა თათია ნიკოლაშვილს პარტიის ფაქტორის თავმჯდომარედ? იცნობთ ოზურგეთის ბიუჯეტს, იცით კი მისი

ოლენობა? ესწრებით კომისიის სხდომებს, სადაც განხილვები მიმდინარეობს? უფრო ინფორმირებული იქნებოდით. ეს თქვენი არაკომპეტენტობაა – უპასუხა ნაციონალური დეპუტატის რეპლიკას **გიორგი ლურჯაუშვილმა**.

– რა ხდება ჩვენთან პარტიაში, შიდა პარტიული მდგომარეობა თქვენი საქმე არ არის – საპასუხო სიტყვა შეაგება ლურჯაუშვილმა ნიკოლაშვილს.

– სახელმწიფომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები გამოაკო, ამის შესაბამისად შესყიდულია თუნუქი, სხვა მასალები და სტიქიიდან ყველა დაზარალებულს მოუტანებენ სახლში – განასადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გელა არიშვილი**.

შეკითხვები დაისვა მუნიცი-

პალიტეტის ბიუჯეტის შესახებ საკრებულოს 2022 წლის №33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის განხილვისას.

ბიუჯეტი შემოსავლებისა და გადასახდლების ნაწილში 7 316 246 ლარით გაიზარდა, სადაც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებლად 5 070 000 ლარი გამოყოფილია.

გარდა ამისა საჯარო და სამრეწველო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილია 1 466 246 ლარი; ბინათმესაკუთრეთა აშხანავლობის მხარდაჭერისათვის – 530 000 ლარი; რაგბის განვითარების კავშირის მხარდაჭერისთვის – 50 000 ლარი; გაიზარდა საფეხბურთო

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით - 3,20 ლარი,
სამი თვით - 9,60 ლარი,
6 თვით -16 ლარი,
ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანსწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქციური
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმბათი ალიონზე
«ალიონით»

ორი დიდი პროექტი ცხემლისხიდ- ვაკიჯვრის თემში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება და მოწესრიგება გრძელდება. ამჟამად მიმდინარეობს ბაზევი - ფაბუალოთი - ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის აღდგენა და განახლება; ცხემლისხიდი - უჩხუბი - ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. გზის სამშენებლო სამუშაოები ოზურგეთის მერმა ათანდრო თალაგაძემ, მოადგილესთან, ნიკა ბოლქვაძესთან ერთად დაათვალიერა.



თაყაიშვილის ქუჩაზე გზისაგან კომპანიას პრობლემები არ მოუგვარდება



საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჩვენთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი თაყაიშვილის ქუჩაზე სპეციალისტების მოვლინების შესახებ არ მოუწოდებია. ასეთი წერილის შესახებ პირველად გვესმოდა - ასე უთხრეს აქაურებს გზებისა და ხიდების მშენებლობის ჩინური კომპანიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებმა. ორ თვეზე მეტია, პერნამენტულად მიმდინარეობს დავა ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლებსა და გზებისა და ხიდების მშენებლობის ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს შორის რაც მშენებლობისას მოსახლეობისადმი მიყენებულ ზიანს უკავშირდება.

სპეცტექნიკის გამოყენების გამო დაიბზარა საცხოვრებელი სახლები. მძიმე მდგომარეობა ჩვენთან. გზაც ცუდად შენდება. კოლექტიური წერილით მივმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას. მერიამ კი გავცა პასუხი, მაგრამ პრობლემა კვლავ იგივეა - უთხრა გაზეთ „ალიონს“ თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებელმა დარეჯან ჩხაიძემ. ექადიელები ითხოვდნენ, წყლის კომპანიის მიერ სასმელი წყლის მიღების შეცვლამდე არ დაეკოთ ასფალტი ტროტუარებზე, აუმაღლებინათ ლობები. ცალკე პრობლემა გახლდათ სამკუთხა ღარების მოწყობა.

აქაურმა მოსახლეობამ კოლექტიური წერილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. ოზურგეთის მერიამ 22 მაისს კი საქართველოს გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გიორგი წერეთელს მიმართა. ისინი დეპარტამენტის თავმჯდომარეს გადაწყვეტილების მისაღებად სპეციალისტების მოვლინებას სთხოვდნენ. გასულ პარასკევს თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა საპროტეს-

ტო აქცია გამართეს. მოსახლეობა კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვდა. აქციის მონაწილეებს შეხვდა ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დავით მდინარაძე.

საქმის კურსში ვარ. ვიცი მუნიციპალიტეტს თქვენი კოლექტიური განცხადების საფუძველზე საგზაო დეპარტამენტში წერილი ერთი თვის წინ გავზავნა. ვხედავ არსებულ მდგომარეობას და ვვლავ ინსტანციას, როგორც დეპუტატი ხმას მივაწვდენ - უთხრა მან მოსახლეობას.

ქ. ოზურგეთის, თაყაიშვილის ქუჩის მოსახლეობის წარმომადგენლები იმავე დღეს ჩინეთის გზებისა და ხიდების კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ კომპანიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა იოგენ გათნაგარმა განაცხადა, რომ ისინი პროექტის მიხედვით აწარმოებენ სამუშაოებს.

კითხვაზე, თუ ვინ შეადგინა პროექტი, რა ღირებულების სამუშაოები უნდა ჩატარდეს, ბატონმა იოგენმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია არ არის საჯარო (?), შეუძლიათ საგზაო დეპარტამენტს მიმართონ.

შემდეგ ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ დავით მდინარაძესთან, ოზურგეთის მერიის წარმომადგენლებს გონა აბაშაძესა და გია ნიკოლაიშვილთან ერთად მშენებლობის კრიტიკული ადგილების დაათვალიერეს. კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციას დაიწყეს და ვიცით კარგი პროექტი აქეთ შედგენილი. ჩვენი ქუჩას ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მავისტრალია. ვინ შეადგინა ასეთი პროექტი, ხომ უნდა გამოასწორონ - ამბობენ ექადიელები და კომპანიის მხრიდან პრობლემების მოგვარებას ელოდებიან.

მორეობრაფიული ფესტივალი „ავტობრაფი“ გურიასში



23-25 ივნისს ქ. ლანჩხუთში, დაბა ჩოხატაურსა და ქ. ოზურგეთში, აღნიშნული მუნიციპალიტეტის მერიების მხარდაჭერით გაიმართა ქართული ქორეოგრაფიის გამოჩენილი პიროვნების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის **ჯუმბერ ღუნდუას** სახელობის ქორეოგრაფიული ფესტივალი „ავტობრაფი“.

აღნიშნულ ფესტივალის ტექნიკური მხარის ორგანიზება კავკასიის ხელოვნების და ფოლკლორის ასოციაციამ უზრუნველყო. ფესტივალის მათემატიკურ საშუალებას ჰქონდა ეხილათ არაერთი ქორე-

ორგრაფიული ანსამბლის ოსტატობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ფესტივალში მონაწილეობდნენ: სახელმწიფო ანსამბლი „გურია“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები „მეგობრობა“, „მომავალი“, „ორბი“, „ფესვები“, „საკანელი“, „საფირონი“, „ლაშა გიორგი“ (ოზურგეთი); „ლაზიკა“, „არგონავტები“, „როკვა“ (ფოთი); „ფერხული“, „ერისთავობა“ (ლანჩხუთი); „ღუნდუაში“ (ცაგერი); „ბანგურიანი“ (მესტია); ანსამბლი „მევიქ შოუ“ და სხვები.

ფესტივალი „ავტობრაფი“ წელს მეორედ გაიმართა.



ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღში აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა



ალიონი. ქ. ოზურგეთში, №4 საბავშვო ბაღში აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა - სასწავლო რესურსების და თვითნაკეთი მასალების დათვალიერება გაიმართა. (მენეჯერი მარიკა ლლონტი, მეთოდისტი ნაილი გრძელიძე).

სლოგანით „მშენიერების ძიებაში“ თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს 2-3, 3-4, 4-5, სასკოლო მზაობის ჯგუფებმა (პედაგოგები: ნონა, ილინა სირაძე; ლია ქეთარაძე, მზია შილაკაძე; ნანა ქერქაძე, ნანა რუსიევილი; ირმა ქუტიძე, თიკო ტოროლაძე).

გამოფენა საინტერესო იყო როგორც შემეცნებით, ისე მხატვრული ღირებულებითაც. ცალკე იყო გამოფენილი სსმ ბავშვებისათვის ხელნაკეთი სასწავლო

რესურსები და ასევე ლოგოპატი აღმზრდელისათვის. (ლოგოპედი მედეა გირკელიძე, განსაკუთრებული საჭიროების სპეციალისტი ნათია ერქვანია).

წარმოდგენილი სასწავლო რესურსით: სენსორული დაფა - ნატიფი მოტორიკის განსვითარებლად; ფაზლი (კონტრევი სათამაშოები) - ციფრებისა და გეომეტრიული ფორმების განსაზღვრა; ემოციების გასაგებობის და გეომეტრიული ფორმების განსაზღვრა; ლია ქეთარაძე, მზია შილაკაძე; ნანა ქერქაძე, ნანა რუსიევილი; ირმა ქუტიძე, თიკო ტოროლაძე).

საბავშვო ბაღში მშობელთა ჩართულობის შესახებაც გვესაუბრნენ.

„არ გიხარიათ, ქვეყანა რომ ვითარდება, თქვენ ქვეყანა არ გიყვართ“



კლუბ „მერცხალის“ სუბსიდა – 52 700 ლარით; შემცირდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება 17 000 ლარით და შესაბამისად გაიზარდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდა ასევე 17 000 ლარით და ა.შ.

– თქვენს ჩამონათვალში არ ჩანს სოციალური მიმართულებები, მე შეიძლება მიკრობული ვიყო ამ ციფრებში, მაგრამ თუკი ბინათმოსარგებელთა ამხანაგობის მხარდაჭერა გაიზარდა 530 000 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების გამოყოფილი თანხა 17 ათასი ლარით შემცირდა, ხოლო ამის შესაბამისად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდა მხოლოდ 17 ათასი ლარით გაიზარდა – ეს შეკითხვა ნაცმო-

რაობის დებულებით **ირინა თუბტერიძე** დასვა.

– ბინათმოსარგებელთა ამხანაგობის ხარისხი მხარდაჭერისათვის გამოყოფილი 530 000 ლარი არის კაპიტალური გრანტი და ამ თანხით 9 და 12 -სართულიან მრავალბინიან სახლებში სამუშაო-სატივითი ლიფტებს ვაკეთებთ. ეს მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ასეთი ბინების მაცხოვრებლებისათვის. რაც შეეხება შემცირება-გაზრდას ეს მოთხოვნის საჭიროებიდან ხდება გარდა ამისა, პროექტის „ჩვენი თანამართლები“ ფარგლებში 300 000 ლარა გათვალისწინებული და ქ. ოზურგეთში, იაკობ შემოქმედლის ქუჩაზე სკვერი მოეწყობა – განმარტა ვიორგი ლურჯუაშვილი.

კიდევ ერთი თემა, რომლის გამოც

მწვავე პოლემიკა გაიმართა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის განახორციელებული ობიექტების მშენებლობის ტენდერში ორჯერ გაიმარჯვა შპს „ფემინოკონსტრუქშენ გრუპმა“.

პირველი ეს გახლავთ სოფელ მაკვანეთში (ბაღების უბანი) 2062 მეტრი სიგრძის გზის რეაბილიტაცია, (ლირებული 1437108 ლარი) და სოფელ მთისპირი-ბასილეთის 1178 მეტრი გზის რეაბილიტაცია (729 489 ლარი). ნაციონალი დეპუტატის თათია ნიკოლაშვილის კრიტიკული ვიდეოს სოფელი სწორედ აქ დასახლებულ მაკვანეთის გზას ეხებოდა.

– სოფელ მაკვანეთში სამუშაოები არ დაწყებულა. ოზურგეთის მერმა გაარკვიოს ვისთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება – აცხადებდნენ ნაციონალი დეპუტატები.

– ეს ტენდერი თქვენი პარტიის წევრს შალვა თავდიშვილს აქვს მოგებული – იყო ერთ-ერთი დებუტატის პასუხი.

– შალვა თავდიშვილს ტენდერი არ მოუგია, ეს არის სიცრუე – ამტკიცებდნენ თანაპარტიელები.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტი: ოზურგეთის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ აგრეთვე დადგინდა „მუნიციპალიტეტის ბუფერული გაყოფისწინა-საზღვრული“ ბუფერული“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

ბახვი ჰესის მიერ ორგანიზებული მასშაველებების ტრენინგი ბორჯომში



2023 წლის 17, 18 და 19 ივნისს ბორჯომში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის, ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლის მასწავლებლები ბახვი ჰესის მიერ სპეციალურად მათთვის დაგეგმილ და ორგანიზებულ სასწავლო ტრენინგს დაესწრნენ. პედაგოგთა ტრენინგ მოდულის პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად შემუშავდა და მიზნად ისახავს, მონაწილეების ინფორმირებასა და მხარდაჭერას საჯარო სკოლების ავტორიზაციისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. ტრენინგის საშუალებით მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია სკოლის განვითარების დაგეგმვისა და წარმართვის შესახებ თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის მორე სტანდარტის მოთხოვნებზე. ტრენინგ კურსის შედეგად, პედაგოგები უკეთ შეძლებენ სკოლის დონეზე იმ პროცესების მართვას, რომლებიც ავტორიზაციის სტანდარტითაა გაწერილი, მათ შორის, სკოლის მისიის და მასთან დაკავშირებული ხედვის შემუშავებას, სტრატეგიული მიზნების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება/ამოქმედებას, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად სასწავლო რესურსების შერჩევას და სხვა.

ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, ძალიან საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. სწრაფად განვითარებად დროში ასეთი სახის ტრენინგები, ლექციები, თუ სემინარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეგიონში ესა თუ ის ინფორმაცია, შესაძლოა უფრო ნელი ტემპით მოდიოდეს. თავის მხრივ, ეს ცოდნა იმისთვის ვეჭვირდება, რომ ხელი შეუწყვთ ჩვენი სკოლების განვითარებას, ამით კი მომავალი თაობის წარმატებაში მივიღოთ მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ ბახვი ჰესი და მხარდაჭერას უცხადებს სკოლას და მასწავლებლებს, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულია“ – განაცხადა მთისპირის საჯარო სკოლის პედაგოგმა, **მარიამ ლლონტაძე**.

„გავეცანით სკოლის ავტორიზაციის მასალებს და ტრენინგით ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა ბახვი ჰესს, რომელსაც ჩვენი სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს. კომპანია არა მხოლოდ მასწავლებლებზე, არამედ ყურადღებას უთმობს რეგიონში განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლებას.

ბუფუქსის ზედა წელში ზ/ღონიდან 1000 მ- 1610 მ-ს შორის 3 ჰესი აშენდება. წყალი ჰესებს 1000 მ-იანი მდლით მიეწოდება და მდინარის დებუტის 90 პროცენტი საერთო სიგრძით 7 კილომეტრის დერივაციულ მილში მოექცევა. როგორც თქვენს გაიჩეხება მხოლოდ 130 კუბური მეტრი ტყე და ა.შ.

– გომისმთამდე აპირებთ ასვლას? ჩავიტანს ეს მდინარე ზღვაში. რას უუტოვებთ ჩვენს მომავალს – განაცხადა გომელმა **გია ლუმბაძემ**.

– ჩვენ ხელშეკრულებით ორი ჰესის შესახებ ვიცოდით, ახლა მესამეც გამოჩნდა – თავისი უკმაყოფილება გამოთქვა **ვასო წიტიანიშვილმა**.

– მესამე ჰესის მშენებლობა ვერ პროექტირების ეტაპზეა – უპასუხა **ზურაბ ბესელიამ**.

შეხვედრაზე გარემოსდაცვითი თემებზე კომპანიის გარემოსდაცვითმა მენეჯერმა **თიკო ყიფიაშვილმა** ისაუბრა, თუმცა მისი საუბრიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰესები 8-ბალიანი მიწისძვრის ზონაში უნდა აშენდეს, მათ ჰესების სიმძლავრიდან გამომდინარე არ აქვთ ვალდებულება გზმ წარმოადგინონ.

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელს **ზურაბ ბესელიას**, რომელმაც განაცხადა, რომ ბუფუქსის იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა მათ გზმ-ს წარდგინებს არ ავალდებულებს, ისინი გარკვეულ კვლევებს ჩატარებენ ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილებების, თევზის შეუფერხებელი გადაადგილების და სხვა საკითხებზე. რაც შეეხება დერივაციულ მილებს, შემოქმედში გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან აპირებენ „ბუფუქსის“, რომლის სიმძლავრე 12 მეგავატია და იგი არანაირ გავლენას ახდენს კურორტ გომისმთის კლიმატურ პირობებზე – ვითხრა **ზურაბ ბესელიამ**.

მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებთ სკოლაში და ინფორმაციას მოსწავლეებსაც გაუზიარებთ. აღსანიშნავია, რომ საინტერესო ტრენინგთან ერთად შესანიშნავ გარემოში ვიყავით“ – განმარტა ჩხაკაურას საჯარო სკოლის მასწავლებელმა, **პაატა ვაშაყმაძემ**.

ბახვი ჰესის მიერ ორგანიზებულ სასწავლო ტრენინგს ჯამში 33, კერძოდ, 20 მთისპირის საჯარო სკოლის, 3 მთისპირის საბავშვო ბაღის, 10 კი ჩხაკაურას საჯარო სკოლის მასწავლებლები ესწრებოდა.

დავინანსებული ფართი

მდინარე ბუფუქსის ხეობაში სამი მცირე ჰესი უნდა აშენდეს?



ალიონი. 5 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში (შემოქმედის თემი) კომპანია „ენერჯის“ წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრისას, რომელიც ბუფუქსის ქვემოთ 2 მეგავატამდე სიმძლავრის „გომი ჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით გაიმართა, გომელებისგან გაუდგრა, რომ ბუფუქსის ზემოთ მათთვის უცნობი კომპანია 2 მეგავატამდე სიმძლავრის ორი ჰესის მშენებლობას აპირებდა და ტყეში გზა შეჭვავდათ.

მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ყურნალისტების ჯგუფმა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოსთან“ ერთად გზის მშენებლობის სამუშაოები მოვიანსულეთი. (იხ. ბმული <http://allion.ge/2023/06/basra-1-basra-2-dRes-gav/>)

15 ივნისს, კი სოფელ გომში, რესტორან „ჩაქუხას“ დარბაზში კომპანია „PARVUS Group“-ის წარმომადგენლებმა აღნიშნული ჰესების მშენებლობის სოფელ გომის მოსახლეობის წარმომადგენლებთან (დაახლოებით 20 კაცი) შეხვედრა გამართეს.

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ არ გამართეს მოსახლეობასთან შეხვედრა სამუშაოების დაწყებამდე, რატომ ჰყავდათ ისინი ინფორმაციულ ვაკ-

უუმში, კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელმა **ზურაბ ბესელიამ** გვიპასუხა, რომ ამ ჰესის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის ფლობს გურიის სამხარეო ადმინისტრაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები და მათ სოციალური პროექტების შესახებ ხელშეკრულება აქვთ ოზურგეთის მერიასთან დადებული (25.02.2023 წ.) ამ ხელშეკრულებით, ჰესების მშენებლობისას, სამი წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბუფუქსის 0,5 მილიონი ლარი ჩაერიცხება, საიდანაც თანხის ნაწილი მერიის გადაწყვეტილებით სოფელ შემოქმედის მონხარდება. ამასთანავე განაცხადეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან აქვთ ნებართვები, რის საფუძველზე სამუშაოები დაიწყეს. რადგან მცირე სიმძლავრის ჰესებზე არის დაყოფილი, არც გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ბიომრავალფეროვნების კვლევა არ აქვთ ჩატარებული.

როგორც ბესელიამ განაცხადა, მათ ბოლო 3 წელშიწარმო 5 მცირე ჰესი ააშენეს სვანეთსა და მთიულეთში, რომელთა საერთო სიმძლავრე 13 მეგავატს შეადგენს.

ბუფუქსის ზედა წელში ზ/ღონიდან 1000 მ- 1610 მ-ს შორის 3 ჰესი აშენდება. წყალი ჰესებს 1000 მ-იანი მდლით მიეწოდება და მდინარის დებუტის 90 პროცენტი საერთო სიგრძით 7 კილომეტრის დერივაციულ მილში მოექცევა. როგორც თქვენს გაიჩეხება მხოლოდ 130 კუბური მეტრი ტყე და ა.შ.

– გომისმთამდე აპირებთ ასვლას? ჩავიტანს ეს მდინარე ზღვაში. რას უუტოვებთ ჩვენს მომავალს – განაცხადა გომელმა **გია ლუმბაძემ**.

– ჩვენ ხელშეკრულებით ორი ჰესის შესახებ ვიცოდით, ახლა მესამეც გამოჩნდა – თავისი უკმაყოფილება გამოთქვა **ვასო წიტიანიშვილმა**.

– მესამე ჰესის მშენებლობა ვერ პროექტირების ეტაპზეა – უპასუხა **ზურაბ ბესელიამ**.

შეხვედრაზე გარემოსდაცვითი თემებზე კომპანიის გარემოსდაცვითმა მენეჯერმა **თიკო ყიფიაშვილმა** ისაუბრა, თუმცა მისი საუბრიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰესები 8-ბალიანი მიწისძვრის ზონაში უნდა აშენდეს, მათ ჰესების სიმძლავრიდან გამომდინარე არ აქვთ ვალდებულება გზმ წარმოადგინონ.

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელს **ზურაბ ბესელიას**, რომელმაც განაცხადა, რომ ბუფუქსის იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა მათ გზმ-ს წარდგინებს არ ავალდებულებს, ისინი გარკვეულ კვლევებს ჩატარებენ ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილებების, თევზის შეუფერხებელი გადაადგილების და სხვა საკითხებზე. რაც შეეხება დერივაციულ მილებს, შემოქმედში გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან აპირებენ „ბუფუქსის“, რომლის სიმძლავრე 12 მეგავატია და იგი არანაირ გავლენას ახდენს კურორტ გომისმთის კლიმატურ პირობებზე – ვითხრა **ზურაბ ბესელიამ**.

„პატარა პრინცი“ ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე – ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა სპექტაკლი ანტუან დე სენტ – ფლოპერის „პატარა პრინცი“ პრემიერა.

სპექტაკლი წარმოადგინა კულტურის ცენტრთან არსებულმა თეატრალურმა სახელოსნომ „მომავლის თეატრი“.

რეჟისორი – ვახო ჩხარტიშვილი; პედაგოგი – ნინო ვიციყიშვილი.



გურიის ღვინის ფესტივალს ფელს ხიდისთავმა უმასპინძლა

ალიონი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, გურული ღვინის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალს გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი და მისი მიზანია ვაზის გურული ენდემური ჯიშებისაგან დაყენებული ღვინოების პოპულარიზაცია, ადგილობრივი საოჯახო მარნების ხელშეწყობა და გურიაში მევენახეობის განვითარება.

წელს სოფელმა ხიდისთავმა უმასპინძლა გურულ და სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეულ მეღვინეებს.

აღსანიშნავია, რომ სოფლის ძველი სახელწოდება ოცხანა და „ოცხანური საფერეს“ წარმოშობის ადგილია.

მოწეწო ხელნაკეთი ნივთებისა და კულინარიული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, წარმოადგენს გურული ცეკვები, სიმღერები, მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულა ქუთაისის სასულე ორკესტრმა. მისასალმებელი სიტყვებისა და ფოლკლორული ანსამბლების გაძისვლის შემდეგ, ღვინის დამზადების ტრადიციულად, ჭურის მოხდით დაიწყო, რასაც ოცხანური საფერავის დაჭამა მოჰყვება.

მეღვინეები გურიის რეგიონის სამთავე მუნიციპალიტეტიდან, ფესტივალზე მრავალფეროვანი სახეობის ღვინით იყვნენ წარმოდგენილი.

ოზურგეთიდან: **ანდრო ვამალიძემ**, ცნობილი მეღვინე, თამამად შეიძლება ითქვას, მეღვინეობის დარგის ერთ-ერთი განმავითარებელი, ვაზის უძველესი ჯიშების მკვლევარი გურიაში. რვა სახეობის ღვინით. ღვინის ყველა ფესტივალის მონაწილე და არერთი ჯილდოს, მათ შორის ოქროსა და ვერცხლის მედლის მფლობელი: საკმიელა, ჩხავერი, ბადაგი, სხილთუბანი, ალადასტური, თეთრი და წითელი ჩხავერი, ჭუმუტა;

„მამა ადვისი კარგ ღვინოს რომ გახდებოდა ჭკვიანი, საკმიელით არის იტყვია. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საკმიელას ტრადიციულად იყენებდნენ ადრე გურიაში და მთავარი ღვინო იყო, ამიტომ ჩარჩა მესხიერებას ასეთი გამოხატულების სახით. საკმიელა ჩემი მესამე შვილია. ვიცი, რომ ჯაჭვურად გაგძლდება მისი მოყვანა ჩვენში და აღარ დაიკარგება.“

ოზურგეთიდან ასევე **სოსო ხინთიბის** მარანი 6 სახეობის ღვინით: საკმიელა, კლარჯული, კამური, მური, თეთრი ჩხავერი, ტაიჭურა; მენაძის მარანი, შხანის ღვინო.

ღვინოთა მრავალფეროვანი სახეობა, ეთნოგრაფიული ელემენტები, კიდევ მეტ მიმზიდველობას სძენდა **შემოქმედის ეპარქიის** მეურნეობის კუთხეს: ჯანი, წითლარი, ხუშია, მტრედის-ფეხა, საკმიელა, თეთრი მური, თეთრი კამური, ჩხავერი: კახური ღვინოები: ქისი, რქაწითელი, კახური მწვანე; ჩოხატაურში, ჭანიეთში, ნიგვზიანში, მათ შორის კახეთშიც აქვთ ვაზის მეურნეობა.

ბათუმში, ღვინის ფესტივალში მათ ღვინოს ჯანს გაუმარჯვია.

საინტერესო იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეღვინეთა გამოფენა. „მეღვინეობა აგარაკი“ მეღვინე **კარლო (კანა) კვიციანი**, ძირითადად ცოლიკაურისა და საკმიელას ღვინოს აწარმოებს. მინდა ჩხავერიც გავაშენო და შევთავაზო ვაზის ამ ჯიშის თავყვანისმცემლებს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და **ლევან უგმაჯურიძის** საოჯახო მარანი. ჯანი, საფერავი, ბახვა, ჭუმუტა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, **ზურაბ თოფურაძის მარანი**, კომპანია იბერიელის სახელდებით აწარმოებს ღვინოს. წარმოდგენილი ჰქონდათ ჩხავერი 2011 წლიდან 2021 წლამდე დაძველებით. 4000-5000 ბოთლს აწარმოებენ წლის განმავლობაში, თანამშრომლობენ 12 ქვეყანასთან, მათ შორის ღვინო გააქვთ: ააბონიაში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში, პორტუგალიაში...

დავით კობერიძის მარანი - 7 სახეობის ღვინოს აწარმოებს. უკვე მეექვსე წელია გაყიდვებზე უცხოურ ბაზარზე, მათ შორის ამერიკაში, საფრანგეთში, ტაილანდში, ახლა უკვე ჩინეთშიც.

მეღვინეთა გვერდით, ეთნოგრაფიული დატვირთვით იყო წარმოდგენილი **ირაკლი ცინცაძისა** და **ნინო კობახიძის** მეურნეობა. განსხვავებული პროდუქტი, თხის ყველის სხვადასხვა ასორტიმენტით.

ახალგაზრდა ოჯახი პანდემიის პერიოდში ბაზუსულ ეზოკარს დაბრუნებია ჩოხატაურში, მოუშენებია თხის ფერმა. შეუქმნია შინაური ცხოველები, ფრინველები და ძირითადად შინაური მეურნეობით არიან დაკავებულნი. ირაკლი პროფესიით ენერგეტიკოსია და ასევე სასაქონლო სარეგისტრაციო ფაქულტეტი დაუმთავრებია, ნინო ხელოვნებათმცოდნეა.

„რძის პროდუქტების წარმოების გაზრდა გვიინდობდა, მაგრამ რთი რომ ჩავემარებინა მოსახლეობისგან, უსაფრთხოების გარანტია ვერ გვეზღოდა, რადგან ვერ წამოვიდინებთ თანხმობაზე რძისთვის ლაბორატორიული ანალიზი გაკეთებულიყო. ამიტომ მხოლოდ ჩვენი ფერმის რძისგან ვაწარმოებთ პროდუქციას და ვიცი, რომ უსაფრთხოა. წარმოებისთვის მხოლოდ კოლონიალურად უსაფრთხო მასალისგან დამზადებულ ჭურჭლს ვიყენებთ. მაგალითად ბამბუკს, ნერგოვიკას. ჩვენი მომხმარებელი გვეყვას.“

ფერმაში ყველა ცხოველს თავისი სახელი ჰქვია და ხუმრობით პოლიველის ფერმას ეძახან. სახლში არ კვლავთ ფრინველს, მხოლოდ კვერცხს ვყავით. ისინი თავისი სიკვდილით კვდებიან“

უსმენ ამ ახალგაზრდა ოჯახს, საინტერესოდ მოსაუბრეს, თუმცა უფრო მეტად საინტერესოა, მათი დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რომელსაც ასეთი სიყვარულით და მაღალი პასუხისმგებლობით მოჰკიდებენ.



წვიმა
+19+24
27 ივნისი
სამშაბათი

მზე, ღრუბალო
+17+25
28 ივნისი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბალო
+18+27
29 ივნისი
ხუთშაბათი

ღრუბალო
+18+23
30 ივნისი
პარასკევი

ღრუბალო
+16+23
1 ივლისი
შაბათი

მზე
+16+24
2 ივლისი
კვირა

მზე
+16+25
3 ივლისი
ორშაბათი